№ 106
შაბათი, 21 მაისი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 106
შაბათი, 21 მაისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## მოამბე
**№ I**

ხელმეორედ დაიბეჭდა და ახალ ხელის მომწერლებს გაეგზავნებათ მეხუთე ნომერთან ერთად.
(5—3)

## მუშტაიდში

კვირას, 22 მაისს,

ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიის „დამხმარებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

გამართული იქნება

საერო სეირნობა

და

ლატარია-ალეგრი

ნაშუადღევის 2 საათიდგან ბაღში დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა და საზანდარი „აბდულ-ბალი.“ ბაღი გაჩირაღდნებული იქნება. აუშვებენ ჰაეროსტატს, აანთებენ ბენგალის ცეცხლებსა და შუშხუნებს.

ფასი შესასვლელ ბილეთისა ღირს 20 კ.
ლატარიის ბილეთისა 20 კაპ.

სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 2 საათზედ. ალეგრისათვის ნივთების შემომწირველთ შეუძლიანთ თავისი შემოწირულობა წარუგზავნონ კნეინა ბ. გ. ბარათაშვილისას რეუტის ქუჩაზედ საკუთარ სახლში.
(2—1)

## საზაფხულო თეატრი

—

კვირას, 22 მაისს,

გამართული იქნება საბალეტო წარმოდგენა საიმპერატორო ბალეტის მოცეკვავე ქალის ლ. ნ. ჰეიტენისა.

მონაწილეობას მიიღებენ: საიმპერატორო ბალეტის მოცეკვავე ვ. დ. ტიხამიროვი და ამავე ბალეტის პირველი სოლისტები ტ. ი. ჩერნიავსკი და მ. ფ. ბუტლერი და აგრეთვე მთელი დასი მოცეკვავეთა.

წარმოდგენილი იქნება პირველად:

I

### მაჯარის დღესასწაული

ბალეტი ერთ მოქ. თხზ. კოლიორისა, მუს. ზოპეფელდისა.

II

### ზღვის თუღლი

დრამატ. ბალეტი 1 მოქმედ., თხზ. სენჟორჟისა და მადილიერისა, მუს. ადამისა და პუნისა.

III

### ბალ-მასკარადი

ბალეტი—დივერტისმენტი 1 მოქმედ. გაჰმართავს ჰეიტენი. დასს საკუთარი ხორო ჰყავს მუსიკისა საიმპერატორო მოსკოვის თეატრების არტისტის მ. ვ. შიმონის ლოტბარობით.

დასაწყისი 8 საათზედ

ფასი ადგილებისა საოპეროა. ბილეთების ყიდვა შეიძლება ამ თავითვე თეატრის კასსაში.

დირექცია ლ. ლ. შარაპანტიესი

უმთავრესი გამგე დასისა ნ. ფ. ბუტლერი.

(3—2)

## ტფილისი, 21 მაისს

—

ქუთათურ ბანკის საქმეების უწესო მსვლელობით გულ-ნატკენმა გადმოვიარე კორტოხი იმ აზრით, რომ ჩემის თვალით მენახა და ჩემის ყურით მომესმინა ტფილისის ბანკის დარბაისლური კრება და მისი დამჯდარი და საქმიანი მსჯელობა.

მართალია, გაზეთებითაც მიდევნებია ხოლმე თვალ-ყური ტფილისის ბანკის კრებისათვის, მაგრამ საკუთარის თვალით და ყურით განაცადი კიდევ სხვაა.

ეხლა გულ-დასმით შემიძლია წარმოვსთქვა ჩემი აზრი და შთაბეჭდილება ორივე ჩვენის ბანკის კრების შესახებ და ვფიქრობ, რომ ეს უადგილო არ იქმნება.

ჩვენის ორისავე ბანკების ეხლანდელი ვითარება ბევრით განსხვავდება ერთი მეორესაგან, მაგრამ საერთოცა აქვთ ერთმანეთთან: პირველი საერთო ის არის, რომ წმინდა მოგებიდან კარგა დიდი ნაწილი ჩვენის საზოგადო საჭიროებისათვის გადაიდება ხოლმე; მეორე საერთო ის არის, რომ ეხლა, როგორც აქ, ისე იქ, ბანკის საქმეში იბრძვის ორი დასი. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ტფილისის ბანკი, ბევრად უფრო მცირე თანხით დაარსებული, ეხლა ფრთა გაშლილი და გაძლიერებულია; მისი წმინდა მოგება დიდს სამსახურს უწევს საზოგადოებას და მომეტებულს უქადის კიდევ მერმისისათვის, მაშინ როდესაც ქუთათური ბანკი, სამჯერ უფრო მომეტებულის თანხით დაწყებული, ეხლა სულზე დევს და ლამის ხელიდგან გაგვიქრეს. მეორე განსხვავება იმაშია, რომ ქუთაისში ოპოზიციამ ხელში იგდო ბანკის სადავე და ტფილისში-კი, როგორც ეტყობა, ბანკის მართველობა ფეხ-მაგრად არის.

იმ მიზეზების დაწვრილებით გამოკვლევა, თუ რამ მიიყვანა, ან ერთი, ან მეორე, ბანკი ეხლანდელ მდგომარეობამდის, ერთობ შორს გაგვიტაცებდა, მაგრამ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი-კი, ჩემის აზრით, ჩვენს ხასიათშივე ჰბუდობს. ლიხს იქით ჩვენი ხალხი ერთობ აჩქარებულის ხასიათისაა, შეტაკებისა და ბრძოლის დროს ივიწყებს თვით საქმეს, რისთვისაც მოხდა ეს შეტაკება, და პირადობაზედ ადვილად გადადის, მაშინ როდესაც ლიხს აქეთ აუჩქარებლად ეკიდებიან საქმეს და გაცხარებულის ბრძოლის დროსაც არ გადასცდებიან ხოლმე იმავე საქმეს.

აი სწორედ ამის მოწამე მე თითონ გავხდი ტფილისის ბანკის კრებებზედ. რომელს ქართველს არ აუტოკდება სიამოვნებით გული, როდესაც ნახავს ამდენს დარბაისელს ქალს და კაცს, ერთად შეკრებილს მხოლოდ მისთვის, რომ საქვეყნო საქმე მოისმინოს, შეძლებისამებრ ასწონ-დასწონოს და თავისი მსჯავრი დასდოს. მგონია ერთიც არ გამოიძებნება ამ კრებულში იმისთანა, რომელსაც არ ესმოდეს საგანი კამათობისა და, ასე თუ ისე, მონაწილეობას არ იღებდეს. წრფელი და გონიერი სიტყვა ყველაზედ მოქმედობს, რომელ დასსაც უნდა ეკუთვნოდეს მსმენელი. თუმცა ყველა მოლაპარაკე, ანუ ორატორი ყოველთვის საქმეზე არა ჰლაპარაკობს, ყოველთვის წრფელის გულით არ ჰმოქმედობს, მაგრამ უმრავლესობა ადვილად ამჩნევს ხოლმე ამას და ღირსეულადაც აფასებს. ამ ნაირს კრებაში წესსაც ადვილად დაიცავს თავმჯდომარე და საქმეც რიგიან მსვლელობას მიიღებს. ამ ნაირი კრება სწორედ რომ გონებისა და ჭკუის კარგი სავარჯიშებელია და მართლა რომ ცოდვაა მისი შეზღუდვა იმ ნაირადვე, როგორადაც აპირობენ ქუთაისის ბანკის კრების შეზღუდვას, სადაც დას-დასობით გატაცებულნი ერთმანეთს არ აცლიან ლაპარაკს და ერთი მეორესი არა ესმით-რა. აქ ოპოზიციას კანონიერი საფუძველი აქვს, მაგრამ როგორს ოპოზიციას?—გულ-წრფელს, საქმიანს, წმიდას იარაღით შეიარაღებულს და ქვეყნის გულ-შემატკივარს... თუ ოპოზიციამ განურჩევლათ იხმარა ყოველი იარაღი, რომელიც ხელში მოხვდება, მაგალ. კახელების ქართლელებთან დატაკება და ჩოხოსნებისა—ფრაკოსნებთან, მაშინ იგი ჰკარგავს თავისს მნიშვნელობას, სიცხოველისა და სიფხიზლის მაგიერად, გახრწნილება და უკეთურობა შემოაქვს საზოგადოებაში.

გულ-წრფელად ვუსურვებ აქაურს ოპოზიციას, რომ ამ უკეთურს გზას ასცდენოდეს და ძირი არ გაუთხაროს ჩვენს საუკეთესო საქმეს.

ვუსურვებ აქაურს ოპოზიციას, რომ იგივე სამსახური გაეწიოს ჩვენის საზოგადოებისათვის, რა სამსახურსაც უწევს ხოლმე ოპოზიცია სხვა უფრო განვითარებულს ქვეყნებში.

ქუთათური დამსწრე

## დამაკვირდი

—

სიცრუე მთიდგან დაქანებულს თოვლის გუნდასა ჰგავს, რომელიც, რამდენიც ჰგორავს, იმდენი დიდდება; მაგრამ მზის სხივი მოხვდება თუ არა, იფუშვნება და დნება

ბრედევლანი

**

ვისაც პატივმოყვარეობისათვის ღია აქვს კარი გულისა, იმას გამოკეტილი აქვს მშვიდობიანობისათვის.

ჩინური ანდაზა

**

უოკვლო გემრიელი—მსაზრდოებელი და მარგებელი არ არის.

მონტენი

## ორი ხმა

იტირე, გულო,
სული ჩემი დაზარებულა,
ღონე მიმხდის,
ენა სევდით დამუნჯებულა.

—

იხარე, გულო,
სული ჩემი განორჩებულა,
ღონით აღვსილვარ,
ენა ლხენით აშვენებულა.

—

იტირე, გულო,
სახე ჩემი გაყვითლებულა,
მწუხარებისგან
თმაც უდროვოდ გათეთრებულა.

—

იხარე, გულო,
სახე ჩემი გაბრწყინვებულა,
ნეტარებისგან
თმა-ჩალარაც გაშავებულა.

—

# ფელეტონი

—

## წერილი გურიიდგან

აგერ რამდენიმე თვეა, რაც გურიამ შეისვენა. მიქელაძიშვილი და სხვა მისთანა უკულმართს ვარსკვლავზე დაბადებული გმირები შავს მიწას ამოეფარნენ და ანგარიშს აძლევენ ღმერთს თავიანთ ნამოქმედარისას; სხვა-და-სხვა დაწესებულების მოხელენი გულდადებით იკვლევენ და ხსნიან იმ დანაშაულობათა კვანძს, რომლებიც შავ ლაქად აზის ხსენებულის გმირების ნაკვალევს. მე-კი, ვინაიდგან კაცი არაფერს მკითხავს, მიმჯდარვარ ჩემთვის კუთხეში, ყველა ამის ანგარიშს ვაძლევ მხოლოდ ჩემს თავს და გადამიწყვეტია, გინდა თუ არა, შენ გაგიზიარო, მკითხველო, ჩემი გულის ნადები.

მართალია და ერთი გავითვალისწინოთ, რა ზარალი მოუტანა ჩვენს მხარეს ამ უკულმართმა მოვლენამ. წარმოიდგინეთ ჯერ აუარებელი ცდენა, ძარცვა-რბევა, ეგზეკუცია, დაჯარიმება და სხვა შემავიწროებელი საშუალებანი, წარმოიდგინეთ ყველა ამასთან რამდენიმე ათი და ვგონებ ასი ათასი მანეთი მშრომელის უმრავლესობის მიერ ცეცხლად ნაშოვარი და ამ საქმეში გაფლანგული, დიახ, წარმოიდგინეთ ყველა ეს და ადვილად მიხვდებით, თუ რა ნივთიერი ზარალი მოგვიტანა უფერულის ცხოვრების ორიოდე მახინჯმა შვილმა. ძნელი საანგარიშო არის, რამდენი უძღი და უნდილი ადამიანი ითბობდა ხელს მაზრის ამ გაჭირვებაზედ. ბევრი უსაქმო ადამიანი აეკვიატა ამ საქმეს და როგორ მიჰყავდათ ის, ამის ანგარიშს ღმერთი თუ მოსთხოვს, თორემ ჩვენ სად შეგვიძლია, ამათგან ანგარიშის მიღება.

მერე რა დაუზოგველად იხარჯებოდა ბეჩავი სოფლელის ნაამაგარი ამ საქმეში! ხშირად შეხვდებოდით ამა თუ იმ ქალაქის ქუჩაში მოქეიფე ვაჟბატონს, რომელიც გურულების ოფლით დაქირავებულს დარაჯთა გუნდში ირიცხებოდა, ყოველი თვის ოცზე ჯამაგირს იღებდა და იქნება ხელაპყრობით სთხოვდა ღმერთს ამ ყოფის გაგრძობას. ეს ნივთიერი ზარალი. ეხლა გადავიდეთ ზნეობრივ ზიანზე. წარმოიდგინეთ რამდენად შეილახა ერის ზნეობა, რომელსაც ფულებზედ ვერ დაახურდავებ, მაგრამ ფულზე და ქონებაზედ მაღლა სდგას, და რომელიც ძვირად უნდა უღირდეს ყოველს ერს. ფირალები და მათი ოინები, ავაზაკობა და ავაზაკთა საზიზღარი მოქმედება, ეს იყო ჩვენი სალაპარაკო საგანი, ეს იყო ჩვენი დღიური ვარამი. ვის ეცალა ცხოველი იდეალებისათვის, ვის მოაგონდებოდა ზნე მაღალი, ქველობით მოსილი გმირი? ყველა ამების ნაცვლად თვალწინ გვედგა ბნელეთის მოღვაწენი და ჩვენც ძალა-უნებურად მათ შესახებ ვმართავდით საუბარს. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ერი და ბერი მიქელაძიშვილისა და იმის ამქრების ამბავს მოუთხრობდნენ ერთმანეთს ამასვე იწერებოდნენ ჩვენი კორესპონდენტები, ამათ ამბავს ისმენდა ჩვენს ოჯახებში ჩვენი მოზარდი თაობა, მათ შავ საქმეთა მოთხრობით იკვებებოდა ამათი ნორჩი გონება. ბევრი პატიოსანი გრძნობა მოიწამლა, ბევრს ოჯახს სახელი გაუტყდა. ენატანიობას, ბეზღაობას ხომ ნუღარ იკითხავთ. ერთი კაცი რომ მეორეზედ გაჯავრებული ყოფილიყო, უეჭველად მოქიშპის გასაქრობად ამ ფირალობას გამოიყენებდა: მეტად საეჭვო საბუთებით ალჭურვილი გარბოდა, ვისთანაც ჯერ იყო, და ფირალის შენახვას აბრალებდა ნიშანში ამოღებულს თანამოძმეს. რომელიმე გაქნილს ადამიანს რომ სოფლის ნაამაგარზე გული შევარდნოდა და სოფლის საკრებად მამასახლისობა მოეწადინებინა, იმასაც ამ საშუალებისათვის უნდა მიემართნა. ადგებოდა ამისთანა ვაჟბატონი და თავისავით საეჭვო კაცების დახმარებით ნამდვილს მამასახლისს შარებს მოსდებდა, ცაში მართალს კაცს ფირალების მომხრეობას დასწამებდა, თვით სოფელს ათასს რამე ცილის მოუგონებდა და ამ ღონისძიებით მამასახლისობასაც ხელში იგდებდა. ამაოდ ეუბნებოდა სოფელი ჩვენს კეთილის მყოფელებს: „ბატონო, ეს კაცი მამასახლისად არ ვარგა, ავ-კაცობას თითონ აფარებს ხელს, მაგს თუ თავიდგან მოგვაშორებთ, ფირალი ჩვენში ვერ გაივლის და თუ გაივლის, ჩამოგვახრჩეთო.“ ამ შემთხვევაში სოფელი ამგვარს პასუხს მიიღებდა: „თქვენ ყველა ავაზაკები ხართ, პატიოსანი კაცი მარტო ეს გირევიათ და თუ არჩევანზედ ხელს არ მოგვიწერთ, ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზამთ, მამასახლისად ამას დავამტკიცებთ უმაღლესი მთავრობის მიერ მონიჭებულის უფლებითაო“.

გესმის, მკითხველო! ხუთას და

იტირე, გულო,
სასოებაც მიმკვდარებულა,
მომქმედი ძალაც
დამლევია, გაქარწყლებულა.

—

იხარე, გულო,
სასოებაც გაცოცხლებულა,
მომქმედი ძალაც
სამოქმედოდ გაღომებულა.

—

იტირე, გულო,
ბედი ჩემი გასაწყლებულა,
სახლი, მამული
დამღუპია, აოხრებულა.

—

იხარე, გულო,
ბედი ჩემი გამძლავრებულა,
სახლი, მამული
ათას ფერად აყვავებულა.

—

იტირე, გულო,
ჭირი ჩემი აზღვავებულა,
მოძმეთა გუნდიც
ჩემთვის სამტროდ აყეფებულა.

—

იხარე, გულო,
ლხინი ჩემი გაასებულა,
დუშმანთა გუნდიც
ჩემთვის საყმოდ გამზადებულა.

—

იტირე, გულო,
შენებრ არვინ არ წამებულა,
მართლის თქმისათვის
თაფლიც ჩემთვის გაშხამებულა.

—

იხარე, გულო,
შენებრ არვინ გახარებულა,
პირქოთნებისთვის
შხამიც ჩემთვის გათაფლებულა.

—

იტირე, გულო,
ჩემი თეთრიც გაშავებულა,
გაქლესილ ხალხში
ოქრო ჩემიც გათუჯებულა.

—

იხარე, გულო,
ჩემი შავიც გათეთრებულა,
უმეცრებაც-კი
ჩემი ხალხში დიდად ქებულა.

—

იტირე, გულო,
სატრფო ჩემი გაფითრებულა,
აღარ მიცინის,
აღარც მეტრფის, დაცრემლებულა.

—

იხარე, გულო,
სატრფო ჩემი განცისკრებულა,
ცელქობს და მეტრფის,
გულ-წრფელ-ტაცად დაშვენებულა.

—

იტირე, გულო,
მინდორ-ველი აყვავებულა,
შენში-კი ყველა
გადამჭკნარა, დაზამთრებულა.

—

იხარე, გულო,
მინდორ ველი გახუნებულა,
შენში-კი ყველა
გადაშლილა, გავარდებულა.

—

იტირე, გულო,
დღენი შენი შემოკლებულა,
სამარე გელის,
შენთვის ყველა გათავებულა.

—

იხარე, გულო,
დღენი შენი გაგრძელებულა,
სამოთხეში ხარ,
შენთვის ყველა გაშაქრებულა.

—

ოჰ! რასა ვროშავ,
ტირილით რა გაკეთებულა,
იბრძოლე, გულო!
ბრძოლით მკვდარიც აღდგინებულა.

—

ეხლა-კი მჯერა:
ლხინი ხერხით მოსაგრებულა:
გაიმკვირობა
და ფლიდობა მართლად ქებულა!..

დ. მაჩხანელი

# ახალი ამბავი

—

*** სათავად-აზნაურო სკოლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრებამ გუშინ, 20 მაისს, აირჩია ერთხმად, დიდის ტაშის ცემითა სკოლის გამგე კომიტეტის თამჯდომარეს თანაშემწეთ კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა, თავმჯდომარედ კი—თავად-აზნაურთა მარშალი, რომელსაც აირჩევს მომავალი სათავად-აზნაურო კრება, რადგანაც ეხლანდელმა მარშალმა, თავ. ლ. მაღალაშვილმა დეპეშით უარი განაცხადა პეტერბურგიდამ. კომიტეტის წევრებად, კენჭის ჩამოტარებით, არჩეულ იქმნენ:

| | თეთრი—შავი |
|---|---|
| რაფიელ ყაზიბეგი . . . | 388—146 |
| ნიკოლოოზ ცხვედაძე . . | 338—196 |
| ილია წინამძღვრიშვილი. | 308—226 |
| მიხეილ ყიფიანი . . . . | 309—225 |
| თ. ივანე მაჩაბელი . . . | 304—230 |

*** ამას წინედ ჩვენ ვაუწყეთ მკითხველებს, რომ ქალ. გუმბრზედ (ალექსანდროპოლი) გასაყვანად განზრახულის რკინის გზის გამოსაკვლევად დანიშნულია ინჟენერი ბ-ნი აკორონკო. ეხლა ისიც შევიტყეთ, რომ ამავე გზის გამოსაკვლევად დანიშნულნი არიან კიდევ შემდეგნი ინჟენერები, ბბ-ნი: პუშეჩნიკოვი, იაკშიჩი, მაროზოვსკი და ტომაშევიჩი, რომელნიც მოკლე ხანში მიემგზავრებიან თავის საკვლევ-სამუშაოზედ. ტფილისის გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომ ამ ინჟენერებს ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ ადამინისტრაციაში მოსამსახურეებმა, როცა ამას მოითხოვს გარემოებაო.

*** 10 ენკენისთვეს 1892 წელს კავკასიის მთავარ-მართებელმა დაამტკიცა წესები იმისა, თუ როგორ უნდა დაინიშნოს, აიკრიფოს და დაიხარჯოს ის ფული, რომელიც ჩვენს მხარეში დაარსებულ სახალხო სკოლებისათვის არის გამოღებული და, რომელნიც სწავლა-განათლების სამინისტროს ხელშია. ამ წესის ძალით დღეს ამ სასკოლო ფულს სოფელს ისე ახდევინებენ, როგორც სახელმწიფო საზეგრო ფულსა და პირდაპირ ხაზინაში ჰგზავნიან; აქედამ-კი სახალხო სკოლების დირექტორი ხმარობს ამ ფულს, თავის ნება-ყოფლობით.

რადგან სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა შესანახი ფულების აკრეფაც გასაჭირია თურმე და დროზედ არ იძლევა სოფელი იმ ხარჯსა, რომელიც თავის ნება-ყოფლობით მას გაუწერია თავის თავზე, საქართველოს ეგზარხოსს, მაღალ-ყოვლად სამღვდელოს ვლადიმერს უთხოვნია კავკასიის მთავრობისათვის, ჩვენც მოგვეცეს ისეთი უფლება, სამრევლო-საეკლესიო სკოლების შესანახის ხარჯის აკრეფაში, როგორი უფლებაც სახალხო სკოლების ხარჯის აკრეფაშია დადგენილიო.

მთავარ-მართებელს კავკასიისას, ღენერალ-ადიუტანტს შერემეტევს ესეთი მოთხოვნილება საქართველოს ექსარხოსისა საჭიროდ დაუნახავს დასაკმაყოფილებელად და ამ თვის 4-ს რიცხვს დაუმტკიცებია კიდეც ის წესდება, რომლის ძალითაც ამას იქით სამრევლო-საეკლესიო სკოლების შესანახი ხარჯი, რომელსაცკი სოფელი თითონ დაივალებს გადასახადათ, ისე აიკრიფება, როგორც სახელმწიფო ხარჯი და პირდაპირ ხაზინაში გაიგზავნება, საიდამაც მერე ეს ფული გამოიწერება და ისე დაიხარჯება, როგორც ამას მოისურვებს საეპარქიო სასკოლო საბჭო, მაგრამ იმ სკოლებზე-კი, რომლის სახელობაზედაც შეტანილი იქნება ფული სოფლისაგან ხაზინაში.

ეს ახლად დამტკიცებული წესი შეეხება როგორც აქამომდე დაარსებულ სამრევლო-საეკლესიო სკოლებს, აგრეთვე ამას შემდეგაც ახალის განაჩენის გასამართავ სკოლებსაც.

*** ყველას მოგეხსენებათ, რომ მორწმუნე მაჰმადიანები თავის ვალად რაცხს მოიაროს სალოცავად მაჰმადიანთა წმ. ადგილები—სპარსეთისა და ოსმალოს სახელმწიფოებში. ამ ჩვეულებას ის უბედურება მოსდევს, რომ ხშირად საშინელი სენი ჩნდება ხოლმე მაჰმადიანთა ამ წმ. ადგილებში, რადგანაც ძლიერ დიდი ხალხი იყრის თავს; ხოლერა თითქმის მუდამ წელს არის აქ. ამისათვის შარშან და შარშან-წინ, ხოლერის მძვინარობისა გამო, მთავრობამ აღუკრძალა ჩვენის ქვეყნიდამ გასვლა მაჰმადიანთა, სპარსეთსა და ოსმალოს ადგილებში სალოცავად მოგზაურობისათვის. უმაღლეს სამედიცინო საბჭოს პეტერბურგში ვერ დაუნახავს შესაძლებელად ჯერ ხანად ამ აღკრძალვის მოსპობა, ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრსაც განკარგულება გამოუცია, რომ წელსაც დარჩეს ის აღკრძალვა, რომელიც მე გამოვეცი და შეეხება რუსეთში მცხოვრებ მაჰმადიანთა მოგზაურობას სპარსეთსა და ოსმალოში სალოცავადაო. ეს ბრძანება მოუვიდა კავკასიის მართებლობასა და ამ დღეებში ამის ბრძანებაც გამოვიდა, რომ ჩვენის ქვეყნის მაჰმადიანთ წელსაც არ შეუძლიანთ მოგზაურობა სპარსეთ-ოსმალოს წმინდა ადგილებში.

*** შარშან, 26 აპრილს, უმაღლესად დამტკიცებული იყო გასაფრთხილებელი წესები იმ შემთხვევისათვის, რომ ზღვის ნაპირა მდებარე სახელმწიფო სამზღვრებით არ შემოიპაროს რუსეთის სამფლობელოში გადამდები ავადმყოფობაო. თუ სენი გაჩნდა სადმე, ადგილობრივი გუბერნატორი მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა მინისტრს. წესებში ჩამოთვლილია შემდეგი სენი: ხოლერა, ჭირი და ეგრედ წოდებული ყვითელი ცხელება. მაგრამ ესეცაა ნათქვამი, რომ გუბერნატორი მოვალეა აცნობოს მთავრობას, თუ „სხვა განსაკუთრებით საშიში ავადმყოფობა“ გაჩნდაო. ეს ვერ გაუგია ერთს გუბერნატორს და ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრს ეხლა დაურიგებია ახსნა ამისა ყველა გუბერნატორისათვის და ეუბნება, რომ განსაკუთრებით საშიშ ავადმყოფობას ეკუთვნის: ყელ-ჭირვება, ყვავილი და სახადი, თუ ამათ ეპიდემიური, ე. ი. გამძვინვარებული ხასიათი ექნებაო და ამის გამო ძლიერ საფიქრებელიც არის ამის გავრცელება ჩვენს სახელმწიფოშიო.

ამის თანახმად შესაფერი ბრძანება გამოსცა ტფილისის გუბერნატორმაც სახელმძღვანელოდ.

*** ს. ნიგოითი (გურია). ჩვენში დიდად სწუხან სიმინდის გაიაფებას. ერთის მხრით სიმინდის ფასის ასე დაწევა სასარგებლოა ისევე ჩვენი მოძმეებისათვის, რომელნიც ეკუთვნიან ზემო იმერეთს. სიმინდი-კი ძლიერ იაფობს, მაგრამ ჩვენი მედუქნეები სრულებით არაფერს აკლებენ ფასს. მაგალითად, ავიღოთ პური. შარშან, თუ ცალი ცხრა მანეთ ნახევარი ფასობდა, წელს იგივე ცალი პური ჰღირს 6 მ. და 45 კ. და ფასი-კი გამომცხვარ გირვანქა პურისა შარშანდელივით 5 კაპეიკია, თუმცა $3^1/_2$ კაპ. უნდა იყოს. სასურველია, რომ ყურადღება მიექცეს ვისიც ჯერ არს.

*** 19 მაისს, ლაბორატორის ქუჩაზედ სოფ. ბრემისის მცხოვრებელი სიმონ ყურაშვილი ცოლს წაეჩხუბა და თავში ჯოხი დაარტყა. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

---

ექვსას კომლ კაცში მარტო ერთი კაცია სანდო და ეს ის კაცი არის, რომელიც ყოველს ღონისძიებას ხმარობს, ქრთამსაც-კი ჰხარჯავს, რომ სოფლის სურვილის წინააღმდეგ მამასახლისობა ხელში იგდოს. ნეტავი როდის და ვინ შეეცილა გლეხებს ხელმწიფის მიერ ბოძებულს მოხელეთა არჩევის უფლებაში? მერე ასე ძალად დაყენებულის მამასახლისის თვითნებობას ხომ საზღვარი არ ჰქონდა. რა გვარს შევიწროებას არ ითმენდა მისგან დაბრიყვებული სოფელი. ამ გვარად ზოგიერთს სოფელში ხალხის უწმინდესი უფლება შეილახა, სოფლის უმრავლესობას ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა. ის ხმა, რომელსაც ერის ხმას უწოდებენ და ღვთისას უდრიან, აილაგმა და მისი ადგილი დაიჭირა რამდენისამე მეტად საეჭვო კაცის ენატანიობამ, რომლებიც წყალს ამღვრევდნენ, რომ უფრო ადვილად მოსწეოდენ გულის წადილს.

ყველა აქედგან წარმომდგარის ზნეობრივი მარცხის ჩამოთვლის ნებას არც წერილის სივრცე მაძლევს და ვერც მკითხველს შევაწუხებ ამდენის მოთქმით. სავალალო ისედაც ბევრი გვაქვს. მაგალითად, არა ნაკლებ ზარალად მიმაჩნია ის გარემოება, რომ ფირალობამ შეიქცია ჩვენი კეთილის მყოფნი და მათი თვალყური მოაშორა მეტად საჭირო საგნებს. ნუ დავივიწყებთ, რომ აგერ რამდენიმე წელიწადია ჩვენს კუთხეს ერთი სასოფლო სკოლაც არ მოჰმატებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირე რიცხვს სამრევლო სკოლებისას, რომელთაც აარსებენ ზოგიერთი ანაფორის მოტრფიალე ვაჟბატონები და რომელთაც უეჭველად კარები გამოეკეტება, რა-კი იმათი მასწავლებლები ანაფორაში გაეხვევიან. რამდენიმე წლის წინად თუ ზოგი ჩვენი ერთკლასიანი სკოლები გავაორკლასიანეთ, დღეს ბევრი ნივთიერის მხრით, მეტად შევიწროებული სოფელი ერთკლასიან სკოლასაც უარჰყოფს.

გზები? გზები ისეთს მდგომარეობაში არის ჩავარდნილი, რომ თუ ჩვენს ფირალებს უგზო უკვლოდ არ ევლოთ და ამ გზებს დანდობოდნენ, ვერც ამდენს ხანს იბოგინებდენ წუთი-სოფელში. რომელი სასოფლო გზა გინდა, რომ ღამის წყვდიადში-კი არა, შუადღისას არა გაუთხაროს სამარე, თუ გინდ მიქელაიშვილისთანა ვაჟკაცსაც-კი.

მეურნეობა? ამის დასახასიათებლად საკმაო არის იცოდეთ, რომ ვაჭრების გარდა სხვა პატრონი არა ჰყოლია ჩვენში ამ რთულს საქმეს. ესენი ავრცელებდნენ სოფლად „გამოწერილს ყაჭს“, რომლისათვის მეოთხე ასაკის შემდეგ ცახების ნაცვლად ლასტები უნდა დაგეწნათ და იმათის შემწეობით შორს, ძლიერ შორს უნდა გადაგეყარა შენი მთელი თვე ნახევრის ნაჭირნახულევი და კარმიდამო მაინც დაგეხსნათ სიბინძურისაგან მოსალოდნელი ხოლერის ასაცილებლად. ვაჭრებივე ავრცელებდნენ სხვა-და-სხვა თესლეულობას. რაც შეეხება სოფლის ნაწარმოების გასაღებას, ამ შემთხვევაში ყოველთვის ყოფილან და იქნებიან ისეთი გულ-შემატკივარნი, რომელნიც გაჭირვებულს სოფელს ორ ცეცხლს შუა მოასწრებენ და ჩალის ფასად უჩვენებენ გზას ბეჩავი სოფლელის ნაამაგარს.

ხალხის ჯან-მრთელობისათვის ზრუნვა, დაბა-სოფლების და ქალაქების ჰიგიენურად მოწყობა არასოდეს არ იქცევდა ჩვენში ვისისამე განსაკუთრებულს ყურადღებას და ამ ფირალობის დროს ხომ ერთად-ერთი სიკვდილი იყო ჩვენი პატრონი და გაჭირვებიდგან დამხსნელი.

ეხლა თქვენ მიბძანეთ: ყველა ამას რომ თვალი მოვარიდოთ და მხოლოდ ყოველ წლის თავზე სხვა-დასხვა გარდასახადისათვის ეგზეკუცია მივაყენოთ გლეხს კარებზედ, რაღა დარჩენია საწყალს, თუ არ ყაჩაღობა. მაგრამ სწორედ ქრისტესაგან ნაკურთხია საწყალი შრომის შვილი, რომელიც ყოველ გვარს შევიწროებას აიტანს, ცოლ-შვილიანათ გაჭირვებაში ამოუვა სული და ნამუსზე ხელსკი არ აიღებს, ყაჩაღად არ წავა. ფირალობა ისევ იმისთანა ვაჟბატონებს ეხერხებათ, რომელნიც ყოველ გვარს შრომას ერიდებიან, თაკილობენ და თუ წრეს-გასულმა ქესატობამ ძალა დაატანა და რაიმე საქმისათვის ხელი მოაკიდებინა, თურმე, ნუ იტყვით, ისევ „სტრაჟნიკობა“ უფრო ემარჯვებათ. რამდენიმე ამისთანა მყუდროების დამცველნი დღესაც არიან მიცემულნი სამართალში. ან-კი რად უნდა გვიკვირდეს, რომ ამგვარი ვაჟბატონები ამისთანა ადგილს ეძებდნენ მგელს მეტი რა უნდა, თუ მწყემსად დაიყენებენ და ფარეხის კარებს გაუღებენ. მკითხველმა არ იფიქროს, რომ ყაჩაღობის წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღებას უარვყოფდე.

არა, ბატონო! ყაჩაღობა ისეთი მოვლენა არის, რომელსაც უნდა სდევნიდეს არა მარტო მაზრის ადმინისტრაცია, არამედ მთელი მაზრის მკვიდრნი. აქ მთავრობის მოხელენი და მშრომელი უმრავლესობა ხელი ხელ ჩაკიდებულნი შეერთებულის ძალით უნდა ებრძოლნენ ამ მეტად მახინჯს, ერის ქონება ზნეობის გამანადგურებელს მოვლენას, მაგრამ ზომებიც არის და ზომებიც. ნუ ვეძებთ ზოგიერთებსავით ყაჩაღობის

⁂ ამავე დღეს ბაგრატიონის ქუჩაზედ მცხოვრებელს ნიკოლოზ სარქისოვს თოფის გატენა უნდოდა, თოფი გავარდა და ხელში დასჭრა ტფილისის მცხოვრებელი ალექსანდრე მინაევი. სარქისოვი სადღაც მიიმალა.

⁂ ამავე დღეს ქვრივმა ფეოდოსია ბალაკინისამ დიდუბეში ვაჭრის ნიკოლოზ მათიაშვილისაგან ქინაქინა იყიდა, თითონაც დალია და თავის შვიდის წლის ქალსაც დაალევინა. ორის საათის განმავლობაში ორივემ საშინელის ტანჯვით სული განუტევა. დინარჩენი ფხვნილი-კი ბუხრის თავზე იპოვეს და დაბეჭდეს.

⁂ ამავე დღეს ამაღლების ქუჩაზე მკურნალს მარკოზოვს და მის მოსამსახურეთ იაკიმე სოხაძესა და მიხეილ ლაშხის 265 მან. სხვა-და-სხვა ნივთეული მოჰპარეს. ეჭვი გამოცხადებულია მარკოზოვის მზარეულს შაქრო ლებანიძეზედ.

⁂ ამავე დღეს ამაღლებისავე ქუჩაზე ნოტარიუსს ალექსანდრე პოლტორაცკის 40 მან. ღირებული პალტო მოჰპარა ზაქათალის მცხოვრებელმა მიხეილ ამბარცუმოვმა. ამბარცუმოვი შეიპყრეს და პალტოც უპოვნეს.

## კორესპონდენცია

**სოფ. ბორჩხა** (ჭოროხის ხეობა), 9 მაისი. თქვენი მტერია, ჩვენ შეგვაწუხა ამდენის ხნის უწვიმობამ. თითქმის მთელმა აპრილმა ისე გაიარა, რომ სულ სიცივეები იყო. ეს მაისიც აგერ ნახევრდება და ერთის წვეთი წვიმით არ დასველებულა აქაური ქვიანი მიწა. ვისაც პური და ქერი ჰქონდა დათესილი უწვიმობისაგან გადიწვა. სიმინდიც ვისაც დაუთესია გამხმარ მიწაზე, ისიც ზოგან არც-კი ამოსულა და, რაც ამოვიდა, ისიც არ ხეირობს და იწვის. მაინც აქაურებს არას დროს არ ჰქონიათ იმედი ათასი კარგი ამინდიც იყოს, რომ სარჩო სამყოფი მოუვიდეს.

აქაურებისთვის ერთად-ერთი სარჩო და გაჭირვებისაგან გამომყვანი თუთუნის ფასი იყო. თუთუნი ამ მაისის დამლევამდე უნდა დაერგათ, მაგრამ ჯერ-კი ხელი არავის მოუკიდნია ნერგისათვის გვალვის გამო. უსათუოდ დიდ ზარალი მოუვა საწყალ ხალხს, თუ თუთუნი თავის დროზედ არ დაირგა. შარშანდელი თუთუნები, თუმცა გაიყიდა, მაგრამ ვაი იმ გაყიდვას: ჩარჩებმა თავიანთ გამოცდილის ხრიკებით თითქმის უფასოდ გამოიტანეს ფუხარას ხელიდგან იმისთანა კაი ჯიშის თუთუნი, როგორიც აქაურობაში მოჰყავთ. ამ ჩარჩებს ისიც ძალიან უმართავს ხელს, რომ აქაურებს ჭირნახული ცოტა მოსდით, ამისი საყიდელი ფული ეჭირვებათ და ეს არის მიზეზი, რომ იძულებულნი არიან, როგორც ჩარჩის ქეიფია, ისე დაუთმონ ეს ერთად-ერთი სარჩო-საზადებელი. მერე საუბედუროდ, ამ მშვენიერის თუთუნის მყიდველი, ერთი კაციც აღარ მოდის აქაურობაში, რომ ცოტად მაინც შეიბრალოს ფუხარა და რიგიან, ღირებულ ფასად მოიწონოს ეს ოქროსავით შენახული თუთუნი. თუთუნისა და ფუხრის ბედ-იღბალი იმათ ხელში ტრიალებს, რომელნიც არიან სხვა ქვეყნებიდგან მოსულები. უნდა მოგახსენოთ, ამ ვაჟბატონებისათვის მუდამ სთველია: სოფლიდგან სოფელში დანავარდობენ, ატყუებენ ხალხს და ჩალის ფასად აცლიან ხელიდგან თუთუნს. ძალიან სამადლო და სასარგებლო საქმე იქნებოდა, რომ ვინმე მადლიანი გამოჩენილიყო და დაეხსნა ეს ხალხი ამ ჩარჩ-წურბელების ხელიდგან. ჩემის ფიქრით, არც ის იქნებოდა ურიგო დ საზიანო, რომ ჩვენმა ქართველობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ სასარგებლო საქმეს და თითონაც ისარგებლოს და თავის მოძმეც ასარგებლოს. მერე სულ ცოტად რომ ვიანგარიშოთ, ამ ხეობიდგან წელიწადში სამოცი-ათას ფუთამდინ თუთუნი გამოაქვთ გარეშე ქვეყნის ჩარჩებს და ათასობით ფულს იგებენ. ამ ჩარჩებში ზოგი კიდევაც აპირებს სოფ. ბორჩხა'ში თუთუნის საწყობი მაღაზიები დაიკეთონ, იქ ინახონ, ჰგზავნონ სხვა-და-სხვა ქვეყნებში. ღმერთმა ჰქნას, რომ მადა გახსნოდეს ჩვენს ქართველ საზოგადოებასაც, ყური ეთხოვებინოს ამოდენა სიმდიდრისათვის, რომელიც ჩვენს სამშობლოში სძევს და რომლითაც გარეშე ხალხი ჰხარობს.

ბევრი ხანია, მას აქეთ, რაც ხმა იყო და მოველოდით გონიის საბოქაულოს ტყის მცველი ჩაიბარებსო, მაგრამ აქამდის მარტო ხმა იყო და სხვა არაფერი. ახლა-კი, ამ რამდენისამე დღის წინად, გამართლდა ეს ხმა და ამოვიდა ტყის მცველი და ადგილობრივი ბოქაულიც; თითქმის შვიდი სამუხთროს მუხთარი და წინა კაცები მიეგებნენ ამათ. სოფლელებს ძალიან ეშინოდათ ტყის მცველისა: ის რომ ჩაიბარებს, ტყეს ისე, აღარ მოგვახმარს, როგორადაც დღემდის გვიხმარიაო; მაგრამ ჩაბარების შემდეგ სულ სხვა აზრზე დადგნენ ფუხრები. ტყის მცველმა ბ-ნმა აბაზაძემ უთხრა გრძნობით სავსე სიტყვა საზოგადოებას და აუხსნა, რომ თქვენის საჭიროებისათვის ისევე იხმარებთ ტყეს, როგორც გიხმარნიათ დღემდის და დამშლელი არავინ გეყოლებათო. ამ სიტყვამ დიდად ასიამოვნა ფუხრები და ყველა კმაყოფილი დაბრუნდა თავის სახლში, იმ იმედით, რომ თავის საჭიროებისათვის რასაც-კი მოსჭრიან არაფერი ხარჯი არ გამოერთმევათ.

ივ. ჯაიანი

---

**სურები** (გურია). 1 მაისი. ვგონებ, ჩვენის საზოგადოების ერთი დიდი სატკივარი და ნაკლი-უგზობა—განიკურნოს და შეივსოს. ამის იმედს ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ალშიბაია იძლევა. მან ძლიერ ნათლად გამოსთქვა, რომ მის მოღვაწეობის პროგრამმაში სახალხო სკოლებსა და გზებს უპირველესი ადგილი ექმნება დათმობილი და ყოველ ღონისძიებას იხმარს სკოლებისა და მასწავლებელთა მდგომარეობის განკარგებისა და მისვლა-მოსვლის გაადვილებისთვის. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ბ-ნ მაზრის უფროსისაგან წარმოთქმული უბრალო ეფექტისა და ხალხის გულის მოგებისთვის, ამას ის გარემოება ამტკიცებს ცხადად, რომ მოსვლისათანავე დაიახლოვა მაზრაში უფრო პატიოსნად ცნობილნი და სიმართლის მოუფერებლად მთქმელნი, რომელთაც სთხოვა შემწეობა და რჩევა ყოველს საჭირო შემთხვევაში. ხოლო იმათ, რომელნიც უჩირქოთ და უზადოთ ვერ დადიან ცხოვრების სავალზე და რომელნიც აქამდის ქვა-კუთხედი იყვნენ სამაზრო მმართველობისა, გადაჭრით უთხრა, აღარ დამჭირდება თქვენი სამსახური და მეტის ერდგულებისათვის თავს ნუ იწუხებთო. აგრეთვე ხელქვევითებსაც განუცხადა „ნიორის სუნს“ უფრთხილდით და არსად ეს ბოსტნეული პირში არ ჩაიდოთო. პირიქით, ხალხის ნდობა დაიმსახურეთ პატიოსანის ქცევითაო. ამ დარიგების შემდეგ სოფლის მასწავლებელიც კაცი გახდა მამასახლისების თვალში და შეუდგნენ მათთვის ზრუნვას.—რადგანაც ამისთანა უფროსთანა გვაქვს საქმე, ამიტომ სრული საბუთი გვეძლევა გადაჭრით ვსთქვათ, რომ ჩვენ, სურელები, ველირსებით ხეირიან გზებს დ ტლაპო-ტალახებში არ ვიგორავებთ კვლავ, როგორც აქამდის. ამას შემდეგ აქაურ მკვიდრთ აღარ გარეკავენ პაპანაქება ზაფხულში სადმე სახაშმავ ჭალებში გზის გასაყვანად რომელისამე დიდის კაცის სასახლიდამ რკინის გზის სადგურამდე ეტლებით სასიარულოდ, არამედ თავიანთ ტაბლას შინვე გამოიცხობენ ცარიელ კუჭის გამოსავსებლად.

აქვე უნდა გავაცნოთ ბ-ნ მაზრის უფროსს სურების გზა, რომ პირველივე ბარი მან თავის ალაგას დაჰკრას.—საზოგადო გზა, რომელიც ამ მთებს აერთებს გურიასთან, იწყება ჩოხატაურის გზა-ტკეცილიდამ და გაივლის სამს საზოგადოებაში: ფარცხმისა, ერკეთისა და უმეტესი ნაწილი თვით სურებისაში. კარგის მოთავის ხელში ეს სამი საზოგადოება ადვილად შეაკეთებს ერთად-ერთს გზას და მოკენჭავს კიდეც (გზა უკვე გაჭრილია, მხოლოდ აქა-იქ პლანს უნდა შეკეთება). თავიანთ ნაწილ გზას თითო მათგანი დიდის სიამოვნებით გააკეთებს; აქამდისაც გააკეთებდნენ, მაგრამ მოთავეს ვერ შოულობდნენ, ეხლა მოთავეც გამოჩნდა და, არა ვგონებ, საქმე შებრკოლდეს. ამ ზაფხულშივე ბ-ნი მაზრის უფროსი დაანაწილებს გზას საზოგადოებათა და კომლთა შორის, რათა ყველამ თავისი ნაწილი იცოდეს და დანიშნულ დრომდის ნელ-ნელა მოამზადოს ქვა და კენჭი მათთვის აუცილებელ გზისთვის. ეს კია, რომ კენჭის მოყრამდის უთუოდ პლანი უნდა შესწორდეს.

ორიოდე სიტყვა სურების ტყეზედაც. ეს ტყე შეკრულია და დაკავებული; შიგ არიან ხაზინის კაცები მცველებათ, რომლებიც სოფლელებს და მეპატრონე აზნაურებს შიგ არ უშვებენ. საბოლოოდ ვის დარჩება ტყე, არ ვიცით, მაგრამ დღეს კი დიდს შევიწროებაში არიან მთელი ზემო-სურებლები. ქვემო-სურებლების ტყე არ დაიდო სადაოდ, რადგანაც პატარაა, მაგრამ ატეხილმა დავამ დააფრთხო ესენიც, ხაზინა არ წამოგვედაოსო და ერთიან გადაკაფეს ეს პატარა ქონება, რისგამოც მალე მთელი ეს სოფელი იძულებული იქნება მოტვლეპილ ხრიოკ მთებს-ღა შესცქეროდეს. ნეტავ ამათი ტყეც სადავოდ გამხდარიყო, თუ მეტ პატრონობას სოფელი ვერ გაუწევდა თავის ქონებას! ტყის დაკავებამდე, ნამუშავები ხე-ტყე ზემო-სურებლებს გამოუტანელი დარჩათ ტყეში, ან და შინ გამოტანილი, მაგრამ გაუყიდველი. სამართალი მოითხოვდა, რომ ამის გამოტანის და თავის ნებაზე მოხმარების უფლება მისცემოდა სოფელს.

X

---

## მაჰმადიანთა გარდმოცემა ნოეს საფლავის შესახებ.

(ბ-ნი გნედიჩის და ვინმე მესხისა საყურადღებოდ)

1883 წელს მე მომიხდა ქ. ნახიჩევანზედ (ერევანის გუბერნიაშია) გავლა. პირველად რომ ერევნიდგან გაველი, თვალებში მეცა და ნახევარ გზას აღარ მომშორდა არარატის მთები. დიდი კმაყოფილება ვიგრძენ ამ მთების პირველ დანახვაზედ, რადგან პატარაობისას გამეგონა, ნოეს კიდობანი იმაზედა დგასო. მთელი გზა სულ იმათის ცქერითა ვსტკბებოდი, გავლითაც და გამოვლითაც. მთებიც (ორია) მგზავრს ისე ეჩვენება, ასე ჰგონია ნახევარი გზა, ერევნისა და ნახიჩევანს შუა, იმათ გვერდით მიდისო.

ეს კიდევ არაფერია. ქ. ნახიჩევანში რომ შევედი, იქ მიჩვენეს ნოეს საფლავი, რომელზედაც პატარა მეჩეთია (ნიში) აშენებული და დამარწმუნეს, რომ ნოე ნამდვილად აქა ჰმარხიაო. ამ ჩემის თვალით ნანახმა არარატმა და ნოეს საფლავმა ძალიან მასიამოვნა და დამარწმუნა დაბადების მოთხრობა წარღვნის შესახებ.

ორი თვის შემდეგ ამავე წელს, მომიხდა გარდასახლება იმიერ-კასპიის მხარეს ოდესმე ძრიელის ციხის გეოკ-თაფის ახლო (ქ. აშხაბადიდგან 45 ვერსის სიშორეზედ) დ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება—იქაც მიჩვენეს ნოეს საფლავი, რომელზედაც, ნიში კიარა, მთელი მეჩეთია აშენებული. მეჩეთის გვერდით პატარა აუზია მშვენიერი, მიწიდგან გამომდინარე წყლით. ეს აუზი პირველ დროს

---

მიზეზს გურულების ბუნებაში. ნურავინ ჰფიქრობს, რომ აქ ვისიმე თან დაყოლილი ბუნებრივი თვისება ჰმოქმედებდეს. ნუ გვავიწყდება, რომ ყველაზედ უსაშინელესი დამნაშავე, ყველაზე უუმცირესი არსება არის, ნუ გვავიწყდება, რომ უმეცრება, სიბეჩავე და სხვა ათასი ამგვარი პირობა აღებინებს ხელს უბედურს ადამიანს თავისიანებზედ მეტად დ სახიფათო გზას უყენებს. გავიმსჭვალოთ უმეცართა და ბეჩავთა სიყვარულით, ჯალათის სამოსელი მოძღვრის სამოსელზედ შევსცვალოთ და სანამ ამისთანა უბედურის ადამიანის თავის მოკვეთა რამდენსამე ათასს მანეთს მოითხოვდეს ჩვენგან, ვილონოთ რამე, რომ სწორე გზიდან გადამცდარი თანა-მოძმე გონებაზედ მოვიყვანოთ, ქვეყნის დასამხობათ მიმართული თავი და ეხლა ქვეყნის წარმატებას მოვახმაროთ. მივიტანოთ იერიში იმ ჭაობზედ, რომელსაც უმეცრება და სიბეჩავე ჰქვიან და რომელიც სწამლავს ერის ცხოვრებას, ანადგურებს ზნეობას და ფრთას ასხამს ათას გვარს უნამუსობას. გავიმრავლოთ სკოლები, წიგნთ-საცავები, ხელი შევუწყოთ მეურნეობას, აღებმიცემობას, საქმე მივცეთ უქმს ხელებს და სახეირო გზა საქმიანის ხელის ნაამაგარს. მაშინ უეჭველად ეხლანდელი მავნე, ხალხის ცუდა შემაქცევარი კერპები შეიმუსრებიან, ცხოვრებაში უფრო ცხოველი წინ წამწევი იდეალები გაჩნდება, უგნურება გონიერებას დაუთმობს გზას, ბიწიერება ქედს მოიხრის სათნოების წინ, უქმობა შეიცვლება საქმიანისა დ აზრიანის ცხოვრებით, მაშინ გზა დაბნეულ ცხოვართ ტანზე თავი შერჩებათ და ჩვენ კიდევ ამ თავების დასაჭრელად გადადებული ფული.

რა თქმა უნდა, აქ ერთისა და ორის კაცის ცდა ვერაფერს იზამს, თუნდა ეს ორი კაცი გენიოსი იყოს. აქ მთელის მაზრის მკვიდრთა მხნეობა და ენერგია უნდა შეერთდეს, თანახმად უნდა ჰმოქმედებდეს ყველა, მაზრის ადმინისტრაციის უფროს წევრიდგან მოკიდებული უკანასკნელს მხვნელ-მთესველამდე. კმარა, ბატონებო, ამდენი იჭვიანობა, და უნდობლობა, ამდენი ბეზღაობა და სახელის გატეხა, ამდენი თოფის გრიალი გზა-დაბნეულ უბედურთა სიცოცხლის გასაქრობად. გონიერება დავიბრუნოთ; მოვიგონოთ სიცოცხლის მომნიჭებელი სიტყვები „არა მნებავს სიკვდილი ცოდვილთა, არამედ მოქცევა მისი“ და სათავეშივე გაუხმოთ ძირი იმ იარას, რომლის შედეგი ყაჩაღობა და სხვა მისგვარი მოვლენაა.

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, რომ ათასჯერ თქმული და დაღეჭილი ჭეშმარიტება გავიმეორე აქ, მაგრამ რას იზამ, თუ ეს მოსაზრება ისე დაძველდა, რომ მისი რაშიმე გამოყენება ჩვენში ჯერ აზრადაც არავის მოსვლია. დღეის იქით ვგონებ ეს ასე არ იქნება. ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს ისეთი მაზრის უფროსი გვყავს, რომელიც ხანგრძლივის სამსახურის გამო ბევრგვარ ზომას იცნობს და ძნელად თუ მიჰმართავს ისეთს ზომას, რომელსაც ხალხისთვის უბედურების მეტი არაფერი მოაქვს. ხოლო, რომ ეს ასე იქნება, ზოგიერთს ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ. არ ვიცი მამასახლისებზე როგორი მოქმედება მოახდინა და ჩვენს დაწყლულებულს გულს სწორედ მკურნალ მალამოდ ედებოდა ხალი მსჯელობა და შეხედულობა ახალის მაზრის უფროსის ბ-ნის ალშიბაიასი, რომელმაც უთხრა სოფლის მოხელეებს ოზურგეთში და აღნიშნულია ამა თვის „ივერიის“ მე-94 ნომერში.

ბევრი საგულისხმიერო აზრი წარმოსთქვა მაზრის უფროსმა და ყველაზედ უფრო შემდეგი მისი სიტყვები მოხვდა ჩვენს გულს: „მე კარგად ვიცნობ გურულებს, ბრძანა მან; ისინი ერთობ ნიჭიერი, პატიოსანი და საყვარელი ხალხია ქართველთა შორის. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერი, რომელსაც ასეთი კარგი წარსული აქვს, რომელიც ასე მოწყურებულია სწავლა განათლებას და ამდენს ირჯება თავის საკეთილდღეოდ, რაიმე სამარცხვინო მიდრეკილების პატრონი იყოს და ყაჩაღობას თანაუგრძნობდეს. ამისთანა ხალხს მხოლოდ კარგი პატრონი სჭირია დ თქვენც მაშინ გაუწევთ პატრონობას სოფელს, თუ გეყვარებათ იგი, თუ ისე იზრუნებთ იმ დიდს ოჯახისთვისა, რომელსაც საზოგადოება ჰქვიან, როგორც მოყვარული მამა ჰზრუნავს თავისის ოჯახისა და შვილებისათვის. ის მოხელე კი, რომელსაც ნამუსზე ხელი აულია, რომელიც სოფელს სძულს, ვერ შეებრძოლება სოფლის სიავეს, ამისთანა კაცი ვერაფერს სიკეთეს მოუტანს საზოგადოებას და მხოლოდ უფრო გაახშირებს ავკაცობასაო. მე ყოველს ღონისძიებას ვიხმარ, რომ სინდისიერი, მართალი კაცები ვიყოლიო ხელქვეითებად და არცა რას დავიშურებ ამგვარის კაცებისათვის, ხოლო იმისთანა მოხელეს, რომელსაც ხალხში ნდობა და სახელი გატეხილი აქვს, ვერ დავინდობო.“

ძლიერ კარგი სურვილია და ჩვენ იმის მეტი რა დაგვრჩენია, რომ გამარჯვება ვუსურვოთ ამ საქმეში ახალს მაზრის უფროსს.

შუბნელი

თევზით იყო სავსე, რადგან თექელები (ასე უწოდებენ იქაურ მკვიდრთ) იმ თევზებს წმიდანებად სთვლიდნენ და ხელს არ ახლებდნენ. ჩემ დროს (1883—1886 წლებში) ხსენებულ მეჩეთთან სასაფლაო იყო და მეჩეთში ხშირათ მოჰქონდათ, ნამეტნავათ პარასკეობით, ჩვენებური ტაბლის მაგვარი, ძღვენი და თავიანთი წესის შემდეგ გამოჰქონდათ და ერთს ან ნახევარს პურს თევზებს უმტვრევდნენ. ამ მეჩეთისა და აულის ახლო, დაბლობში, ასახლია პატარა სოფელი (აული) წოვა. თექელები ამბობენ, რომ ნოეს ნამდვილად აქ უცხოვრია და როცა მ ამკვდარა იმ მაღლობზედ სადაც მეჩეთია დაუმარხნიათ და იმისათვის ამ სოფელს ნოეს სოფელი (ნოვა) ჰქვიანო. ეს წყალიც ნოეს დამარხვის შემდეგ გამოსულაო.

რუსებმა ამ აუზს უწოდეს წმ. წყარო (СВ. КЛЮЧЪ) და თევზები ამოაბრძანეს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩვენი არარატი ნამდვილი არარატია და ნოესაც კიდობანიდგან გამოსვლის შემდეგ აქ სადმე უნდა ეცხოვრნა, მაგრამ, საკვირველია, საიდგან გაჩნდა იმ ნადირ ხალხში ნოეს სახელი, ან რით აიხსნება თექელების გარდმოცემა და ესეთი პატივი იმ მეჩეთისა და წყაროსი? ეს მით უფრო საკვირველია, რომ თექელები (ახლცებიცა და მერველებიც ჳა-Ахальцы и Мервцы), თუმცა მაჰმადიანები სუნიტები არიან, მაგრამ გულ-ცივად ეკიდებიან სარწმუნოებას. ესენი არც მეჩეთს და არც მოლას, სხვასავით, დიდ პატივს არა სცემენ. ამათში მოლა უფრო მწერალი და წერის შემსრულებელია და მეჩეთი იშვიათია.

მიმიქცევია ყურადღება ბ-ნთ გნედიჩის და ვინმე მესხისა ამ გარდმოცემისათვის.

გიორგი ჩელთის-პირელი.

# რუსეთი

—

საარქეოლოგიო განძი ამიერ კავკასიისა.

როგორც „Рус. Жизнь“-ს გაუგია—განკარგულება მოუხდენია მთავრობას, რომლის თანახმადაც ტფილისის საეკკლესიო—საარქეოლოგიო მუზეუმში, რომელიც სიონის სობოროს კუთვნილებას შეადგენს, უნდა გარდაიცეს ყველა იშვიათი ნივთები, რაც-კი მოიძებნება ყველა მონასტრებში ამიერ კავკასიისა.

მგონი ქვეყანაზე არ იყოს იმდენი ძვირფასი, ღირს სანახავი და გასაჩხრეკი ნივთები, რომელნიც მეცნიერთა თვალისაგან მიმალულია, როგორც სხვა და სხვა მიგდებულ ამიერ კავკასიის მონასტრებში. საკმარისია გაიხსენოს კაცმა გაენათის და მოწამეთის მონასტრები, სადაც შენიშნულნი იყვნენ ასეთი ნივთები, ღირებული მილიონებად. უმრავლეს შემთხვევაში ეს ნივთები, არამც თუ მარტო ცუდად არიან შენახულნი და ფუჩდებიან ცუდის მოვლით და ყურადღებით, არამედ მათ კიდევაც იტაცებენ ხოლმე, როგორც ამ გვარი შემთხვევა მოხდა რაოდენიმე წლის წინად, როდესაც გაენათის მონასტრიდგან ძვირფასის სახარების გამოცვლამ, და უბრალოს მის მაგვარის შენახვამ საშინელი დრტვინვა და ალიაქოთი ასტეხა მთელს იმპერიაში. მაშინ-კი, როდესაც ესე ყოველივე გარდაიცემა ტფილისის აღნიშნულ მუზეუმში, ერთი რომ შიში დაკარგვისა არ იქმნება და იქ იქნება საუკეთესო და ძვირფასი, ერთად—ერთი მთელს ქვეყანაზე კრება საარხეოლოგიო ნივთებისა. მარტო გაენათის მონასტრიდამ ამ მუზეუმს გარდაეცემა დიდ-ძალი კრება სახარებათა და სხვა სჯულიერის წიგნებისა XIII—XV საუკუნეთა ნაწერით და მხატვრობით.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

როგორც „ივერიაშიც“ იყო მოხსენებული, ახალ სენაკში გაქურდეს ჩემი სტამბა და წიგნის მაღაზია და გარდა ფულისა, წაიღეს: ერთი ძვირფასი ალბომი, ერთი ვერცხლის საათი, სხვა და სხვა საჭირო ქაღალდები და ზოგიერთი ანგარიშის დავთრებიც, რომელიც ფულთან ერთად ინახებოდა ფულის კასსაში. ამას გარდა ზოგიერთი ჩემთვის განუხილავი წერილები სხვა და სხვათაგან ჩემთან მოწერილი, მაგალითად, ერთის წერილით ლ. ქორიძე, ერთის ზღვის ზორის ქალაქიდამ (რუსეთიდამ), მიგზავნიდა ფულს და თურმე მთხოვდა ქართულ წიგნებს. ერთის რკინის გზის სადგურიდამ მეკითხებოდა „ათას ერთი ღამიდამ“ არაკებს, რომელიც უკვე გადმოთარგმნილი მაქვს, ან სხვა რომელსამე სახალხო და საყმაწვილო მოთხრობას თუ დავბეჭდავო. ყოველ ამის გამო საჭიროდ ვრაცხ ვსთხოვო, გაზეთის შემწეობით, კეთილ ინებონ და ადრესიც მაცნობონ და თარგმანებიც გამომიგზავნონ, რომლებსაც გავსინჯავთ და, თუ საჭიროდ დავინახეთ დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ კიდეც.

კ. თავართქილაძე

# დეპეშა

19 მაისი

**სოფია.** სამინისტრო კრიზისმა სტამბულოვის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ქუჩაზედ ბრძოლა გამოიწვია. პრინცის სასახლე და სტამბულოვის სახლი ჯარს უჭირავს. დღეს საღამოზედ ცხენოსანმა ჯარმა განფანტა ბრბო ხალხისა. არავინ იცის, რითი დაბოლავდება კრიზისი. გრეკოვი იკისრებს ახალის კაბინეტის შედგენას, თუ სტოილოვი და გეშოვი დახმარებას აღმოუჩენენ. სტამბულოვი ბოლგარიას თავს ანებებს.

**ბელგრადი.** მთავრობამ გადასწყვიტა განდევნოს ყველა სერბიაში დასახლებული ჩერნოგორელები. ჩერნოგორიის მთავრის ბიძაშვილს ბლან პეტროვიჩს აგრძნობინეს, რომ ბელგრადი დასტოვეო. პეტერბურგში მყოფი სერბიის მისსიის მდივანი სკილკოსიჩი დათხოვნილია სახელმწიფო სამსახურიდგან, რადგან ის ბრალი დაედო, რომ აწინდელ სამეფო გვარეულობის წინააღმდეგ ჰმოქმედობსო.

**პალერმო.** სამხედრო სასამართლომ სიცილიის არეულობაში მონაწილეობის მიმღებთ მიუსაჯა: დეფელიჩეს—18 წლით საპატიმროში დამწყვდევა, პოლიციის ზედამხედველობა სამის წლის განმავლობაში და დეპუტატის წოდების ჩამორთმევა; შვიდს ბრალდებულს—საპატიმროში დაპატიმრება ორიდგან თორმეტ წლამდე, ხოლო სამნი-კი გაამართლა.

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ხევი. იაგორ ივანეს ძეს ლუ—შაურ ს** თქვენ მიერ გამოგზავნილი ლექსი, რომელიც განსვენებულ ეგნატე ნინოშვილისათვის გიძღვნიათ, დაბეჭდილია გაზ. „ივერიის“ მე- 61 №-ში. ქების ღირსნი ხართ, რომ დიდად გულ-მოდგინედ გადაგიწერიათ გაზეთიდგან, ისე გულ-მოდგინედ, რომ კორრექტორის შეცდომებიც-კი შეცდომებადვე გადაგიღიათ. ეგ ლექსი ეკუთვნის ბ-ნს კენტს და დაწერილია ლუდვიგ კოშუტის გარდაცვალების გამო. თქვენ-კი „კოშუტი“ ამოგიკლიათ ლექსიდგან და იმის ნაცვლად „ეგნატე“ ჩაგიწერიათ. არა გვგონია, რომ თვით გარდაცვასლებულს ეთქვა თქვენთვის მადლობა აგეთისაქციელისათვის, არა გვგონია აგრეთვე, რომ აგეთის გზით მოპოვებული ლექსი შეიწიროს განსვენებულმა და ამიტომ... არა ვბეჭდავთ.

**ს. წ—რი.** თქვენს კორესპონდენციას ვერ ვბეჭდავთ, რადგან თქვენი ვინაობა წერილის ბოლოს გარკვევით არ არის ხელ-მოწერილი. ზოგიერთ მაგალითების შემდეგ რედაქცია ძალიან ერიდება ასეთ ამბების დაბეჭდვას, თუ ნამდვილად არ იცის მომწერის ვინაობა.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ც. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერაფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## მოაგარაკენო

თელავში, ნადიკვარზედ მთელს ზაფხულს ქირით იძლევა ოთხი ოთახი ავეჯეულობით, სამზარეულოთითავის ქვაბ-ჭურჭლიანად. აქვს საკუთარი ეზო, სადაც მოთავსებულია პატარა ბახჩა ჩრდილოიანი ხეებით, ჰაწმინდა და ცივი წყლით. ფასი სამ თვეს ათი თუმანი ფული წინათვე. ადრესი: И. Зарапишвили.

(4—1)


# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

## ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


ახალი ამბავი!

# ლამპრის პატრუქები

გაჟღენთულია ახლად მოგონილის წამლით და არა ჩვეულებრივი წმინდა და ბრწყინვალე ალი აქვს, სრულიად არა ჰბოლავს და არც სუნს აყენებს, ამასთან ნავთიც ძლიერ ნაკლებად იწვის

ეს პატრუქები ქალაქის საბჭოს დარბაზში გამოსცადეს, სადაც თვეზედ მეტია ჰხმარობენ და ამ ერთის თვის განმავალობაში ხმარებამ აშკარად დაანახვა ყველას მისი სიკეთე.

26 აპრილიდგან ამ პატრუქების სყიდვა შეიძლება შემდეგ აფთიაქის მაღაზიაებში:

პაპოვისა—მიხაილოვის ხიდზედ „გრანდ-ოტელის ქვეშ.

ა. ს. არისტაკოვისა—ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ და ვერაზედ, მაკაროვის სახლში.

კონსტანტინე ვართანოვისა—კუთხე მიხეილისა და ალექსის ქუჩებსა № 51, 1.

მაღრამისა—ავჭალის ქუჩაზედ.

ა. ზ. როსტომოვისა—პუშკინის ქუჩაზედ, ერევნის მოედნის პირდაპირ.

დ. მ. მირზოევისა—შუაბაზარში, მანთაშოვის სახლში.

ქ. ფ. ჯანაღოვისა—რიყეზედ, მადერის სახლში და

ჰაჯი-ბაბა-ალიევისა—თათრის მოედანზედ, ნარიმანოვის სახლში.

ფასი აღნიშნულია თითონ პატრუქებზედ დაბეჭდილის ასოებით. პატრუქების ყიდვა შეიძლება, აგრეთვე თვით ამ პატრუქების მომგონთან, რიყის ქუჩაზედ, სახლი № 41, სადგომი მუჰამედ ხაჯიევისა.

(15—7)




VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკორი ბენიდიქტნი

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

ყველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.